



2025 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვარ-დეკემბრის  
შესრულების

**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2026**  
იანვარი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 27,802.2 მლნ ლარი

წლიური გეგმის 100.8%

გადასახდელები - 27,722.6 მლნ ლარი



წლიური გეგმის 99.2%

ნაშთის ცვლილება  
79.6 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
1,137.3 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
-1,575.7 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა




## ხარჯების სტრუქტურა




# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>[1]</sup>, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,583.5 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსულობები 27,802.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 100.8%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,046.9 მლნ ლარით (7.9%-ით) აღემატება.



შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შემოსავლები 100.7%-ს შეადგენს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს (98.7%), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები, მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 14.9%-იანი და 11.3%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.


2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,952.9 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-დეკემბერში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 27,722.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 99.2%) შეადგენს, რაც 1,776.3 მლნ ლარით (6.8%-ით) მეტია წინა წლის 12 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯები 100.2%-ს, ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 99.1%-ს შეადგენს, ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 23.6%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლით (89.9%) ხასიათდება.

[1] 2025 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 12 თვეში, 1,137.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -1,575.7 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 12 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსულობების და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 79.6 მლნ ლარს გაუტოლდა და 2026 წლის 1-ელი იანვრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,465.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 12 თვეში (მლნ ლარი)



# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დეკემბრის მარჯვენები

2025 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 3,075.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მარჯვენებელს 1,040.2 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მატების გავლენით), ხოლო წინა წლის დეკემბრის მარჯვენებელთან შედარებით, 222.2 მლნ ლარით გაზრდილია. რაც შეეხება 2025 წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 4,512.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც ნოემბრის მარჯვენებელზე 2,612.4 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2024 წლის დეკემბრის მარჯვენებელს 1,122.8 მლნ ლარით აღემატება.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების კომპონენტებს:

შემოსავლების სახით 2,451.8 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 79.7%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 479.7 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენებები, შესაბამისად, 65.8 მლნ ლარს და 78.3 მლნ ლარს უტოლდება.

დეკემბერში გაწეული ხარჯების მოცულობა 3,657.9 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 682.7 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარჯვენებლები - შესაბამისად, 72.9 მლნ ლარს და 98.9 მლნ ლარს.




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც დეკემბერში მიღებული მთლიანი შემოსულობების 71.9% და შემოსავლების 90.2% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან 2,211.9 მლნ ლარი მიიღო, ნოემბრის მაჩვენებელზე 525.3 მლნ ლარით მეტი. წინა თვესთან შედარებით, ყველა სახის გადასახადი მომატებულია, მ.შ. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი - დღგ - 225.5 მლნ ლარით, აქციზი - 144.3 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან შემოსავლის ზრდის გავლენით) და მოგების გადასახადი - 122.8 მლნ ლარით, საშემოსავლო და იმპორტის გადასახადების სახით კი, შესაბამისად, 29.1 მლნ ლარით და 2.9 მლნ ლარით მეტია მიღებული. რაც შეეხება სხვა გადასახადს, აღნიშნული გადასახადის მუხლში აღრიცხული თანხა -30.4 მლნ ლარს შეადგენს<sup>[2]</sup>.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 81.1%-ს შეადგენს), დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,657.9 მლნ ლარი გაიწია, რაც წინა თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად, 2,164.7 მლნ ლარით მეტია, ყველა სახის ხარჯის ზრდის გავლენით (გარდა პროცენტის მუხლით ხარჯებისა, რომელიც 15.4 მლნ ლარით შემცირებულია). კერძოდ: სუბსიდიები 573.8 მლნ ლარით მომატებულია, სხვა ხარჯები - 654.7 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 233.2 მლნ ლარით, გრანტები - 392.5 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები - შესაბამისად, 117.7 მლნ ლარით და 208.1 მლნ ლარით.


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ -1,206.1 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -1,822.9 მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დეკემბერში მიღებული შემოსულობებისა (3,075.6 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (4,512.4 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილებამ (გამოყენებამ) -1,436.8 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 27,802.2 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 86.3%-ს და 11.1%-ს უტოლდება. შემოსავლები, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 82.5%-ს შეადგენს, 2024 წელს - 84.8%-ს), ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ნომინალური და წილობრივი მაჩვენებლები კი, შემცირებულია (2023 წელს - 15.3% და 2024 წელს - 12.7%-ია). 2025 წლის 12 თვეში, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მთლიან შემოსულობებში მცირეა და 2.6%-ს შეადგენს (2024 წელს 2.5%-ია, ხოლო 2023 წელს - 2.2%).




შემოსავლების სახით, 12 თვეში 23,991.1 მლნ ლარია მიღებული, წლიური გეგმის 100.7%, წინა წლის მაჩვენებელზე 2,142.2 მლნ ლარით (9.8%-ით) მეტი. რაც შეეხება გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, წლიურ გეგმასთან მიმართებით, სამივე კომპონენტი გადაჭარბებით ხასიათდება, თუმცა გრანტები მნიშვნელოვანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

იანვარ-დეკემბერში მიღებული გადასახადები 21,957.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის 100.1%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები 99.6%-103.0%-ის ფარგლებში მერყეობს, (მ.შ. აქციზი ყველაზე მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 2025 წელს მისი გეგმა განსაზღვრულია 580.0 მლნ ლარით, 12 თვეში კი მიღებულია 559.3 მლნ ლარი.

2024 წლის 12 თვესთან შედარებით, გადასახადები 1,760.9 მლნ ლარით (8.7%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 13.4%-იან ზრდას, აგრეთვე, დღგ-ის (7.5%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 734.2 მლნ ლარით (13.1%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-დეკემბერში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 8,126.5 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 567.7 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან შემოსულია 289.6 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 278.1 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 9.7%-ით (240.6 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (69.3 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (310.0 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან, აქციზის სახით, მიღებულია 203.0 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 12 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მანკენებელი (278.9 მლნ ლარი), წლიური გეგმის მიმართ 49.8%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან, 161.3 მლნ ლარის ოდენობით, გრანტის სახით მიღებულ შემოსავალთან (წლიური გეგმის 111.2%), აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 12 თვეში შემოსაულია 79.4 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საინვესტიციო გრანტები, 38.2 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 92.7%).

სხვა შემოსავლები სახით, იანვარ-დეკემბერში, ბიუჯეტში მობილიზებულია 1,754.7 მლნ ლარი, წლიური გეგმის 103.8%. რაც ყველა სახის შემოსავლის გადაჭარბებით მიღებას უკავშირდება. წინა წლის მანკენებელთან შედარებით, სხვა შემოსავლები 438.3 მლნ ლარით (33.3%-ით) გაზრდილია, ძირითადად, საკუთრებიდან, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან, ბიუჯეტში 367.3 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღების გავლენით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლებია, ასევე, მიღებული პროცენტისა (359.7 მლნ ლარი) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (340.6 მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლები მუხლით შემოსულობები (344.7 მლნ ლარი), წლიურ გეგმასთან მიმართებით, 14.9%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა (რაც არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, ძირითადად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან ბიუჯეტში 38.7 მლნ ლარის გადაჭარბებით თანხების ჩარიცხვას უკავშირდება), ხოლო წინა წლის მანკენებელს 43.4 მლნ ლარით (14.4%-ით) აღემატება.

ფინანსური აქტივების კლები მუხლით (ძირითადად, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 378.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის 111.3%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მანკენებელს 34.0 მლნ ლარით (9.9%-ით) აღემატება.

ვალდებულებების ზრდა მუხლით შემოსულობები, 12 თვეში, 3,087.9 მლნ ლარს, წლიური გეგმის 98.7%-ს შეადგენს. მ.შ. საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 1,498.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 98.1%). კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში 596.7 მლნ ლარია შემოსული (წლიური გეგმის 99.5%), ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 902.1 მლნ ლარი (წლიური გეგმის 97.3%).


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მანკენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 1,589.0 მლნ ლარი (წლიური გეგმის 99.3%) შეადგინა.

	2025 წლის გეგმა	12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	3,127.3	3,087.9	98.7%
საშინაო	1,600.0	1,589.0	99.3%
საგარეო	1,527.3	1,498.9	98.1%
საბიუჯეტო კრედიტები	600.0	596.7	99.5%
საინვესტიციო კრედიტები	927.3	902.1	97.3%

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 27,722.6 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.4%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-დეკემბერში, ხარჯების წილი გადასახდელებში 75.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-დეკემბერში - 77.3%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-დეკემბერში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 11.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.4% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.1%. 2024 წლის იანვარ-დეკემბერში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 16.4%-ის, 1.4%-ის და 5.0%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-დეკემბერში - 17.8%-ის, 1.6%-ის და 4.9%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 12 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში, ხარჯებმა 22,853.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.2%-ია. წლიურ გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა ხარჯების ყველა კომპონენტი. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლის შესრულება წლიური გეგმის 97.7%-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურება - 95.3%-ს, პროცენტი - 99.2%-ს, სუბსიდიები - 108.7%-ს, გრანტები - 104.6%-ს, სოციალური უზრუნველყოფა - 100.7%-ს და სხვა ხარჯები - 99.1%-ს. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 12 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 2,805.2 მლნ ლარით (14.0%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების ყველა კომპონენტის მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (918.5 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (1,632.2 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 913.4 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 718.7 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (8,705.8 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (6,262.7 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (1,809.0 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (470.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 12 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (3,057.8 მლნ ლარი) წლიური გეგმის 89.9%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (1,300.6 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (251.6 მლნ ლარი), ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (244.4 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (190.9 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (152.1 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (139.1 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (121.7 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (106.0 მლნ ლარი) და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (61.5 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (392.8 მლნ ლარი) წლიური გეგმის 123.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (29.7 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (126.4 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (149.6 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,418.3 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით ხასიათდება და წლიური გეგმის 99.1%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 1,363.2 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

კატეგორია	2025 წლის გეგმა	12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,431.7	1,418.3	99.1%
საშინაო	57.9	55.1	95.0%
საგარეო	1,373.8	1,363.2	99.2%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 12 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 9 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 17.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 21) - 4.3 მლნ ლარის ოდენობით.
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 2.6 მლნ ლარის ოდენობით;
- „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 2.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მეურნეობების დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 28) - 24.7 ათასი ლარის ოდენობით;
- „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 01 13) - 24.2 ათასი ლარის ოდენობით.
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 23.0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-დეკემბერში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 3,031.3 მლნ ლარი, წლიური გეგმის 99.2%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 1,574.3 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 695.2 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 877.9 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 470.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 826.9 მლნ ლარის, 77.8 მლნ ლარის და 4.0 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 25,911.5 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 98.9%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2025 წლის 12 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 12 თვის გადასახდელებიდან (27,722.6 მლნ ლარი), მხარჯავ დაწესებულებებზე 22,463.3 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 5,259.3 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 19.0%). თავის მხრივ, მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 21,261.8 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 76.7%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 1,201.5 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარჯავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.3%).

2025 წლის 12 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-დეკემბერში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 12 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	114.0	94.2%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	898.6	901.4	100.3%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,923.3	2,959.3	101.2%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	409.7	407.0	99.3%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,953.0	8,976.5	100.3%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	204.0	203.6	99.8%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,840.0	1,841.3	100.1%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	1,399.3	100.3%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,056.4	1,063.3	100.6%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,835.8	2,738.6	96.6%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	317.3	106.6%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	330.4	340.2	103.0%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 114.0 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 94.2%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-დეკემბერში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება. კერძოდ, 2022 წლის 12 თვის გადასახდელებმა 102.1 მლნ ლარი, 2023 წლის 12 თვის გადასახდელებმა 100.3 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 12 თვის გადასახდელებმა 119.4 მლნ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 901.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (898.6 მლნ ლარი) 100.3%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (901.4 მლნ ლარი) 2023 და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია, ხოლო 2022 წლების მაჩვენებელს ჩამორჩება.


2025 წლის იანვარ-დეკემბერში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2,959.3 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (2,923.3 მლნ ლარი) 101.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (2,959.3 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 407.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (409.7 მლნ ლარი) 99.3%-ს უტოლდება.


იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში გადასახდელები (407.0 მლნ ლარი), 2022-2023 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




2025 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების თითქმის მესამედი (32.4%), 8,976.5 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,953.0 მლნ ლარი) 100.3%-ს შეადგენს.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (8,976.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-დეკემბერში ათვისებული ასიგნებები 203.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (204.0 მლნ ლარი) 99.8%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (203.6 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 12 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 1,841.3 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,840.0 მლნ ლარი) 100.1%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-დეკემბრის გადასახდელები (1,841.3 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.


თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,399.3 მლნ ლარი ათვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 100.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 12 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (1,399.3 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 1,063.3 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (1,056.4 მლნ ლარი) 100.6%-ს უტოლდება.


მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 12 თვის გადასახდელები (1,063.3 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 12 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 12 თვის მაჩვენებელი 2,738.6 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (2,835.8 მლნ ლარი) 96.6%-ს შეადგენს.


2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (2,738.6 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.



საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-დეკემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 317.3 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 106.6%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 340.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (330.4 მლნ ლარი) 103.0%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (657.6 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.



# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 12 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 12 თვე/ 2024 წლის 12 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსულობები</b>	<b>25,755.3</b>	<b>27,583.5</b>	<b>27,802.2</b>	<b>100.8%</b>	<b>2,046.9</b>	<b>7.9%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>21,848.8</b>	<b>23,816.2</b>	<b>23,991.1</b>	<b>100.7%</b>	<b>2,142.2</b>	<b>9.8%</b>
გადასახადები	20,196.5	21,940.0	21,957.5	100.1%	1,760.9	8.7%
საშემოსავლო გადასახადი	6,627.7	7,549.0	7,515.1	99.6%	887.3	13.4%
მოგების გადასახადი	3,117.5	2,880.0	2,881.4	100.0%	-236.2	-7.6%
დღგ	7,558.8	8,136.0	8,126.5	99.9%	567.7	7.5%
აქციზი	2,488.0	2,650.0	2,728.6	103.0%	240.6	9.7%
იმპორტის გადასახადი	138.9	145.0	146.6	101.1%	7.7	5.6%
სხვა გადასახადები	265.6	580.0	559.3	96.4%	293.8	110.6%
გრანტები	335.9	186.2	278.9	149.8%	-57.0	-17.0%
სხვა შემოსავლები	1,316.4	1,690.0	1,754.7	103.8%	438.3	33.3%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>301.3</b>	<b>300.0</b>	<b>344.7</b>	<b>114.9%</b>	<b>43.4</b>	<b>14.4%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>344.6</b>	<b>340.0</b>	<b>378.5</b>	<b>111.3%</b>	<b>34.0</b>	<b>9.9%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>3,260.6</b>	<b>3,127.3</b>	<b>3,087.9</b>	<b>98.7%</b>	<b>-172.7</b>	<b>-5.3%</b>
საშინაო	1,521.3	1,600.0	1,589.0	99.3%	67.7	4.5%
საგარეო	1,739.3	1,527.3	1,498.9	98.1%	-240.4	-13.8%
<b>გადასახდელები</b>	<b>25,946.3</b>	<b>27,952.9</b>	<b>27,722.6</b>	<b>99.2%</b>	<b>1,776.3</b>	<b>6.8%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>20,048.5</b>	<b>22,802.0</b>	<b>22,853.7</b>	<b>100.2%</b>	<b>2,805.2</b>	<b>14.0%</b>
შრომის ანაზღაურება	2,586.0	3,020.4	2,952.0	97.7%	366.0	14.2%
საქონელი და მომსახურება	2,301.3	2,467.2	2,350.0	95.3%	48.7	2.1%
პროცენტი	1,472.4	1,645.0	1,632.2	99.2%	159.8	10.9%
სუბსიდიები	1,165.2	1,475.6	1,604.4	108.7%	439.2	37.7%
გრანტები	1,706.6	1,988.1	2,079.8	104.6%	373.1	21.9%
სოციალური უზრუნველყოფა	7,787.3	8,644.3	8,705.8	100.7%	918.5	11.8%
სხვა ხარჯები	3,029.7	3,561.5	3,529.5	99.1%	499.8	16.5%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>4,242.5</b>	<b>3,401.4</b>	<b>3,057.8</b>	<b>89.9%</b>	<b>-1,184.8</b>	<b>-27.9%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>365.3</b>	<b>317.8</b>	<b>392.8</b>	<b>123.6%</b>	<b>27.6</b>	<b>7.5%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>1,290.0</b>	<b>1,431.7</b>	<b>1,418.3</b>	<b>99.1%</b>	<b>128.3</b>	<b>9.9%</b>
საშინაო	45.3	57.9	55.1	95.0%	9.7	21.5%
საგარეო	1,244.7	1,373.8	1,363.2	99.2%	118.5	9.5%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>-191.1</b>	<b>-369.4</b>	<b>79.6</b>			

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 12 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულება %	2025 წლის 12 თვე/ 2024 წლის 12 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსავლები</b>	<b>21,848.8</b>	<b>23,816.2</b>	<b>23,991.1</b>	<b>100.7%</b>	<b>2,142.2</b>	<b>9.8%</b>
გადასახადები	20,196.5	21,940.0	21,957.5	100.1%	1,760.9	8.7%
გრანტები	335.9	186.2	278.9	149.8%	-57.0	-17.0%
სხვა შემოსავლები	1,316.4	1,690.0	1,754.7	103.8%	438.3	33.3%
<b>ხარჯები</b>	<b>20,048.5</b>	<b>22,802.0</b>	<b>22,853.7</b>	<b>100.2%</b>	<b>2,805.2</b>	<b>14.0%</b>
შრომის ანაზღაურება	2,586.0	3,020.4	2,952.0	97.7%	366.0	14.2%
საქონელი და მომსახურება	2,301.3	2,467.2	2,350.0	95.3%	48.7	2.1%
პროცენტი	1,472.4	1,645.0	1,632.2	99.2%	159.8	10.9%
სუბსიდიები	1,165.2	1,475.6	1,604.4	108.7%	439.2	37.7%
გრანტები	1,706.6	1,988.1	2,079.8	104.6%	373.1	21.9%
სოციალური უზრუნველყოფა	7,787.3	8,644.3	8,705.8	100.7%	918.5	11.8%
სხვა ხარჯები	3,029.7	3,561.5	3,529.5	99.1%	499.8	16.5%
<b>საოპერაციო საღდო</b>	<b>1,800.3</b>	<b>1,014.2</b>	<b>1,137.3</b>	<b>112.1%</b>	<b>-663.0</b>	<b>-36.8%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>3,941.2</b>	<b>3,101.4</b>	<b>2,713.1</b>	<b>87.5%</b>	<b>-1,228.2</b>	<b>-31.2%</b>
ზრდა	4,242.5	3,401.4	3,057.8	89.9%	-1,184.8	-27.9%
კლება	301.3	300.0	344.7	114.9%	43.4	14.4%
<b>მთლიანი საღდო</b>	<b>-2,140.9</b>	<b>-2,087.2</b>	<b>-1,575.7</b>	<b>75.5%</b>	<b>565.2</b>	<b>-26.4%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-170.4</b>	<b>-391.7</b>	<b>93.8</b>	<b>-24.0%</b>	<b>264.2</b>	<b>-155.1%</b>
ზრდა	365.3	317.8	472.4	148.7%	107.1	29.3%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	79.6		79.6	#DIV/0!
სესხები	252.0	315.3	302.6	96.0%	50.6	20.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	113.3	2.5	90.2	3682.7%	-23.1	-20.3%
<b>კლება</b>	<b>535.6</b>	<b>709.4</b>	<b>378.5</b>	<b>53.4%</b>	<b>-157.1</b>	<b>-29.3%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	191.1	369.4	0.0	0.0%	-191.1	
სესხები	344.6	340.0	377.7	111.1%	33.2	9.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.8		0.8	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>1,970.6</b>	<b>1,695.6</b>	<b>1,669.6</b>	<b>98.5%</b>	<b>-301.0</b>	<b>-15.3%</b>
ზრდა	3,260.6	3,127.3	3,087.9	98.7%	-172.7	-5.3%
საშინაო	1,521.3	1,600.0	1,589.0	99.3%	67.7	4.5%
საგარეო	1,739.3	1,527.3	1,498.9	98.1%	-240.4	-13.8%
<b>კლება</b>	<b>1,290.0</b>	<b>1,431.7</b>	<b>1,418.3</b>	<b>99.1%</b>	<b>128.3</b>	<b>9.9%</b>
საშინაო	45.3	57.9	55.1	95.0%	9.7	21.5%
საგარეო	1,244.7	1,373.8	1,363.2	99.2%	118.5	9.5%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლიური გეგმა	2025 წლის 12 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>27,952.9</b>	<b>27,722.6</b>	<b>99.2%</b>
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>89.3</b>	<b>84.7</b>	<b>94.8%</b>
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.5	68.4	95.6%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	28.5	23.5	82.5%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	9.6	9.2	95.2%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	33.4	35.7	106.9%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	33.3	35.7	107.1%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	15.0	96.2%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.7	98.6%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.5	34.6%
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>10.0</b>	<b>7.3</b>	<b>73.1%</b>
<b>03 00</b>	<b>საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი</b>	<b>1.0</b>	<b>0.9</b>	<b>93.8%</b>
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>29.0</b>	<b>24.1</b>	<b>83.2%</b>
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>25.3</b>	<b>24.9</b>	<b>98.5%</b>
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>120.1</b>	<b>115.0</b>	<b>95.7%</b>
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	31.2	93.9%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	2.1	92.1%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	8.9	8.9	100.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	75.6	72.6	96.1%
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>6.8</b>	<b>6.1</b>	<b>89.2%</b>
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>20.8</b>	<b>19.9</b>	<b>95.6%</b>
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>139.5</b>	<b>131.7</b>	<b>94.4%</b>
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	135.0	129.9	96.2%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	1.8	40.9%
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>12.6</b>	<b>6.8</b>	<b>54.3%</b>
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.5</b>	<b>1.3</b>	<b>88.8%</b>
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>1.2</b>	<b>97.8%</b>
